

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #15-8

ქ. თბილისი

23 მარტი 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის თეიმურაზ ხარაშვილის სახით და მეორე მხრივ სს „სადაზღვევო კომპანია კოპენზური“, შემდგომში „მიმწოდებელი“, გენერალური დირექტორის ივანე კახაძის სახით.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“/„დაზღვევის ხელშეკრულება“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
- 2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 2.4. „შემსყიდველი“/„დამზღვევი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 2.5. „მიმწოდებელი“/„მზღვეველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 2.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 2.7. „სატენდერო წინადადება“ – მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და ფასების ცხრილი/გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისად), რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
- 2.8. „ტექნიკური პირობები“ – ელექტრონული ტენდერის (SPA150004374) სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება.
- 2.9. „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა“ – საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალები მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზარადა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა და რომელიც დაფიქსირებულია შსს-ს მიერ.
- 2.10. „უფლებამოსილი მძღოლი“ – პირი, რომელიც არის შემსყიდველის თანამშრომელი, რომლის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია და რომელსაც გააჩნია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო (შესაბამისი კატეგორიის) მართვის მოწმობა.
- 2.11. „ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური აღჭურვილობა“ – უნივერსალური გასაშლელი საკაცე, საკაცის საკეტი, სათადარიგო საკაცე (დასაკეცი), საიმობილიზაციო ფარი ჟანგბადის ბალონი, საფიქსაციო კომპლექტით და რედუქტორით (თითოეულის მოცულობა 10.0 ლ. 2ც.), ჟანგბადის წნევის რეგულატორი(2ც), კარადები, ცეცხლმაქრი (ავტომატური), გადასხმის სისტემის საკიდი, სათადარიგო საბურავი.

3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 3.1. შემსყიდველმა განახორციელა ელექტრონული ტენდერი (SPA150004374) ტრანსპორტთან დაკავშირებული სადაზღვევო მომსახურებების (CPV 66514100) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **260,587.25** (ორას სამოცი ათას ხუთას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 25 თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).
- 3.2. ფასების ცხრილში (დანართი #1) მოცემულია ერთ დღეში გასაწევი დაზღვევის მომსახურების ღირებულება თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიხედვით. ყოველთვიურად გადასახდელი სადაზღვევო მომსახურების ღირებულება განხორციელდება ფაქტიურად განხორციელებული სადაზღვევო მომსახურების შესაბამისად. ხელშეკრულების გაფორმების პერიოდისთვის ცენტრის 2 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება („Volkswagen Transporter“ EM0365C WV2ZZZ7HZFH045617 და „FORD Transit Custom 310 SWB“ EM0745C WFOYXXTTGYEB84441) დაზიანებულია, გაჩერებულია და საჭიროებს შეკეთებას, შესაბამისად აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები არ არის დაზღვეული წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის. მათზე სადაზღვევო მომსახურების გაწევა და შესაბამისად სადაზღვევო პრემიის გადახდა განხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და მათი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, რაზეც მზღვეველს ეგნობება წინასწარ. ფასების ცხრილი მოცემულია დანართი #1-ში და ის წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. დანართი #1-ში მითითებული დასაზღვევი ავტომობილების რაოდენობა არ წარმოადგენს სავალდებულო შესასყიდ ოდენობას. რაოდენობის შემცირება არ გამოიწვევს ერთეულის ფასის ცვლილებას მხოლოდ შემცირდება ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება.

3.4. დანართი #2 არის გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.5 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც ეკისრება მომწოდებელს მოქმედი კანონმდებლობით.

3.6. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზიანის ოდენობის განსაზღვრა და შესაბამისი მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალების საგარანტიო მომსახურებაზე მყოფ შესაბამის სერვის-ცენტრებში ან შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებულ სერვის ცენტრში.

3.7. თუ მზღვეველი და გარანტიის გამცემი კომპანია ვერ შეთანხმდნენ ზარალის ოდენობაზე, რის შემდეგაც ექსპერტმა დასკვნით დაადასტურა მზღვეველის პოზიცია, ამ შემთხვევაში სასწრაფო დახმარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მზღვეველმა უნდა დაფაროს გარანტიის გამცემის მიერ მოთხოვნილი თანხა, რათა შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს ავტომანქანის შწყობრში მოყვანა და შემდგომ ედავოს გარანტიის მიმღებს ფასის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით

3.8. თუ შემსყიდველისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო 15 კალენდარული დღის ვადაში, შესაბამისი ორგანოს მიერ ვერ დადგინდა ადგილი ჰქონდა თუ არა სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი საკუთარი სახსრებით აანაზღაურებს სარემონტო თანხებს. მას შემდეგ კი რაც დადგინდება, რომ საქმე გვექონდა სადაზღვევო შემთხვევასთან მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობას შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1 მოსაწოდებელი მომსახურების აღწერილობა და ფასები განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტების ფასების ცხრილისა და დაზღვევის პირობების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. მომსახურების მოწოდების პირობები:

5.1. ვადები:

5.1.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 01.04.2015 00:00 საათიდან 2015 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათის ჩათვლით.

5.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, 10 კალენდარული დღის ვადაში მზღვეველის მიერ მომზადდება სადაზღვევო პოლისი თითოეულ ავტომობილზე.

5.1.3. მომსახურების მიწოდების ვადის ამოწურვა ან ერთეულ ავტომობილზე დაზღვევის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისგან.

5.2. ადგილი:

5.2.1. საქართველოს მთელი ტერიტორია.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.1 პუნქტში მითითებული პირი (დეპატამენტი/სამმართველო).

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ლოგისტიკის დეპარტამენტი.

7. ანგარიშსწორება

7.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების მიწოდება დროულად და ხარისხიანად;

8.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

8.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

9. მხარეთა უფლება

9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9.2.2. ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

10. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

10.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს და მისი მოქმედების ვადა 30 დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

10.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ან პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარის უფლებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

10.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

10.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

11. ფორს-მაჟორი

11.0.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2. თუ დამზღვევს სურს დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა, მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს მზღვეველს. ხელშეკრულება შეწყდება მზღვეველის წერილობითი ფორმით მიმართვიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების შეწყვეტისას უკან დაბრუნებული პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში

დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გადახდილი გამოუმუშავებელი ნაწილის მიხედვით. თუ ზარალი ანაზღაურდა გაუქმების მოთხოვნამდე, გაუქმებისას დამზღვევი ვალდებულია, პრემია სრულად გადაიხადოს. სრული ზარალის შემთხვევაში კიასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა.

16.3. მზღვეველს აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება და ამის შესახებ უნდა ეცნობოს დამზღვევს თითხმეტი კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში უკან დასაბრუნებელი პრემია დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან, გაუქმების თარიღისთვის გადაუხდელი გამოუმუშავებელი ნაწილის მიხედვით.

16.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

17. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

17.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს ლოგისტიკის დეპარტამენტი.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - „მომწოდებელთან“, ხოლო ორი - „შემსყიდველთან“.

20. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ ს/კ: 205307960 იურ.მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144 ფაქტიური მის.: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 28 საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი - TRESGE22 შიდა ანგარიში - 200122900 სახაზინო კოდი - 3503030702 <i>თეიმურაზ ხარაშვილი</i>	მიმწოდებელი სს „სადაზღვევო კომპანია კოპენჰაგური“ ს/კ: 405042804 იურ. მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 8 ბ. 8 ფაქტიური მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #173 საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბ/კ RPLGE22 ა/ა GE28BR0000010330001044 <i>ივანე კახაძე</i>
---	---



დანართი №1

(ფასების ცხრილი)

#	დასახელება	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება	ტიპი	ერთ დღეში გაწეული მომსახურების ღირებულება (ლარი)	მთლიანი (ცხრა თვის) სადაზღვევო მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-010-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.91	1,350.25
2	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-011-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
3	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-012-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
4	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-013-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
5	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-014-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
6	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-015-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
7	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-016-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
8	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-017-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
9	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-018-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
10	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-019-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
11	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-020-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
12	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-021-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
13	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-022-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
14	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-023-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
15	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-024-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
16	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-025-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
17	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-026-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
18	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-027-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
19	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-028-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
20	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-029-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
21	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-030-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
22	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-031-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
23	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-032-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
24	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM-033-SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
25	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM 075 SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
26	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM 076 SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
27	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM 077 SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
28	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM 069 SC	2014	55,624.99	სპეც.	4.92	1,353.00
29	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM 070 SC	2014		სპეც.		

65	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM161SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
66	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM162SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
67	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM163SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
68	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM164SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
69	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM165SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
70	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM166SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
71	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM167SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
72	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM168SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
73	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM169SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
74	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM170SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
75	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM171SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
76	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM172SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
77	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM173SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
78	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM174SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
79	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM175SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
80	„FORD Transit Custom 310 SWB“	EM176SC	2014	55,624.99	6300	4.92	1,353.00
81	Volkswagen Transporter	EM 039 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
82	Volkswagen Transporter	EM 040 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
83	Volkswagen Transporter	EM 041 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
84	Volkswagen Transporter	EM 042 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
85	Volkswagen Transporter	EM 043 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
86	Volkswagen Transporter	EM 044 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
87	Volkswagen Transporter	EM 045 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
88	Volkswagen Transporter	EM 046 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
89	Volkswagen Transporter	EM 047 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
90	Volkswagen Transporter	EM 048 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
91	Volkswagen Transporter	EM 049 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
92	Volkswagen Transporter	EM 050 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
93	Volkswagen Transporter	EM 051 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
94	Volkswagen Transporter	EM 052 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
95	Volkswagen Transporter	EM 053 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
96	Volkswagen Transporter	EM 054 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
97	Volkswagen Transporter	EM 055 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
98	Volkswagen Transporter	EM 056 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
99	Volkswagen Transporter	EM 057 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
100	Volkswagen Transporter	EM 058 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50

101	Volkswagen Transporter	EM 059 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
102	Volkswagen Transporter	EM 060 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
103	Volkswagen Transporter	EM 061 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
104	Volkswagen Transporter	EM 062 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
105	Volkswagen Transporter	EM 063 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
106	Volkswagen Transporter	EM 064 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
107	Volkswagen Transporter	EM 065 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
108	Volkswagen Transporter	EM 066 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
109	Volkswagen Transporter	EM 067 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
110	Volkswagen Transporter	EM 068 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
111	Volkswagen Transporter	EM 034 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
112	Volkswagen Transporter	EM 035 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
113	Volkswagen Transporter	EM 036 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
114	Volkswagen Transporter	EM 037 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
115	Volkswagen Transporter	EM 038 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
116	Volkswagen Transporter	EM 079 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
117	Volkswagen Transporter	EM 080 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
118	Volkswagen Transporter	EM 081 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
119	Volkswagen Transporter	EM 082 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
120	Volkswagen Transporter	EM 083 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
121	Volkswagen Transporter	EM 084 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
122	Volkswagen Transporter	EM 085 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
123	Volkswagen Transporter	EM 086 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
124	Volkswagen Transporter	EM 087 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
125	Volkswagen Transporter	EM 088 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
126	Volkswagen Transporter	EM 105 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
127	Volkswagen Transporter	EM 106 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
128	Volkswagen Transporter	EM 107 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
129	Volkswagen Transporter	EM 108 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
130	Volkswagen Transporter	EM 103 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
131	Volkswagen Transporter	EM 104 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
132	Volkswagen Transporter	EM 109 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
133	Volkswagen Transporter	EM 110 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
134	Volkswagen Transporter	EM 101 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
135	Volkswagen Transporter	EM 102 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
136	Volkswagen Transporter	EM 118 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50

137	Volkswagen Transporter	EM 119 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
138	Volkswagen Transporter	EM 120 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
139	Volkswagen Transporter	EM 121 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
140	Volkswagen Transporter	EM 112 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
141	Volkswagen Transporter	EM 122 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
142	Volkswagen Transporter	EM 123 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
143	Volkswagen Transporter	EM 124 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
144	Volkswagen Transporter	EM 125 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
145	Volkswagen Transporter	EM 126 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
146	Volkswagen Transporter	EM 127 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
147	Volkswagen Transporter	EM 128 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
148	Volkswagen Transporter	EM 129 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
149	Volkswagen Transporter	EM 130 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
150	Volkswagen Transporter	EM 131 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
151	Volkswagen Transporter	EM 132 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
152	Volkswagen Transporter	EM 133 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
153	Volkswagen Transporter	EM 134 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
154	Volkswagen Transporter	EM 135 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
155	Volkswagen Transporter	EM 136 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
156	Volkswagen Transporter	EM 137 SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
157	Volkswagen Transporter	EM148SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
158	Volkswagen Transporter	EM149SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
159	Volkswagen Transporter	EM150SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
160	Volkswagen Transporter	EM151SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
161	Volkswagen Transporter	EM152SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
162	Volkswagen Transporter	EM153SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
163	Volkswagen Transporter	EM154SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
164	Volkswagen Transporter	EM155SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
165	Volkswagen Transporter	EM156SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
166	Volkswagen Transporter	EM177SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
167	Volkswagen Transporter	EM178SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
168	Volkswagen Transporter	EM179SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
169	Volkswagen Transporter	EM180SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
170	Volkswagen Transporter	EM181SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
171	Volkswagen Transporter	EM182SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50
172	Volkswagen Transporter	EM183SC	2014	62,700.00	6300	5.54	1,523.50

173	Volkswagen Transporter	EM184SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
174	Volkswagen Transporter	EM185SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
175	Volkswagen Transporter	EM186SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
176	Volkswagen Transporter	EM187SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
177	Volkswagen Transporter	EM188SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
178	Volkswagen Transporter	EM189SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
179	Volkswagen Transporter	EM190SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
180	Volkswagen Transporter	EM191SC	2014	62,700.00	სპეც.	5.54	1,523.50
ჯამი:				10,719,999.20		947.59	260,587.25

„შემსყიდველი“
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“
 ს/კ: 205307960

იურ.მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144
 ფაქტიური მის.: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 28

საბანკო რეკვიზიტები:
 ბანკის ერთიანი ანგარიში
 ბანკის კოდი - TRESGE22
 შიდა ანგარიში - 200122900
 საბანკო კოდი - 3503030702



თეიმურაზ ხარაშვილი

„მიმწოდებელი“
სს „სადაზღვევო კომპანია კოპენჰაგენი“
 ს/კ: 405042804

იურ. მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 8 ბ. 8
 ფაქტიური მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #173

საბანკო რეკვიზიტები:
 სს „ბანკი რესპუბლიკა“
 ბ/კ RPLGE22
 ა/ა GE28BR0000010330001044

ივანე კახაბე



ავტომობილის დაზღვევის პირობები

ავტომობილის დაზღვევის პირობები მოიცავს დაზღვევის შემდეგ სახეობებს/სექციებს:

- A. ავტომობილის ძარის დაზღვევა;
- B. მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- C. მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა.

დაზღვეული სახეობა/სექცია მიეთითება შესაბამის სადაზღვევო პოლისში და მისთვის მოქმედებს ამ პირობებში დაზღვეული სახეობის/სექციის შესაბამისი და საერთო პირობები.

წინამდებარე პირობები ძალაშია სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია.

წინამდებარე პირობებთან და სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით; შეუთანხმებლობის შემთხვევაში - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაწილი I

რას მოიცავს ავტომობილის დაზღვევა?

A. ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის დაზღვევა

A1. რა არის დაზღვეული?

A1.1 დაზღვეული ავტომობილის ან მისი ნაწილების ან მის კომპლექტაციაში არსებული ნებისმიერი სპეციალური აღჭურვილობის/დეტალის ან და დამატებითი აღჭურვილობის დაზიანება, დაკარგვა ან სრული განადგურება (უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობის მიუხედავად), რაც გამოწვეულია დაზღვეული რისკების დადგომის შედეგად.

A1.2 დაზღვეული რისკები:

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- ხანძარი, თვითაღლევა, მეხის დაცემა, აფეთქება;
- სტიქიური უბედურებები (მათ შორის მიწისძვრა და სეტყვა) ან უბედური შემთხვევა (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
- ავტომობილის კომპლექტაციაში არსებული ნებისმიერი დეტალის (ან/და დამატებითი აღჭურვილობის), მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, საგნის დაცემა.

A1.3 ავტომობილის დაზღვევა ხდება A1.2 პუნქტში ჩამოთვლილი რისკების დადგომის შედეგად

- **სრულ და ნაწილობრივ ზარალზე ერთობლივად** - რაც გულისხმობს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეული ავტომობილის როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში.

A1.4. ავტომობილის ძარასთან ერთად დაზღვეულია ავტომობილის კომპლექტაციაში არსებული სპეციალური აღჭურვილობა (უნივერსალური გასაშლელი საკაცე, საკაცის საკეტი, სათადარიგო საკაცე (დასაკეცი), საიმობილიზაციო ფარი, ჟანგბადის ბალონი, საფიქსაციო კომპლექტით და რედუქტორით (თითოეულის მოცულობა 10.0 ლ. 2ც.), ჟანგბადის წნევის რეგულატორი (2ც), კარადები, ცეცხლმაქრი (ავტომატური), გადასხმის სისტემის საკიდი, სათადარიგო საბურავი).

A 1.5 დაზღვევის ამ სექციისათვის ფრანშიზა შეადგენს 0%-ს.

A2. რას ავანაზღაურებთ სრული ზარალის, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში?

A2.1 დამზღვევის არჩევანის შესაბამისად, ავანაზღაურებთ ავტომობილის საბალანსო ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას)

გამოკლებით, ან დამზღვევის სასარგებლოდ შევიძენთ დაზღვეული განადგურებული/დაკარგული ავტომობილის შესაბამისი მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტომობილს.

A2.2 სრული ზარალის შემთხვევაში, ანაზღაურების თანხიდან ავტომობილის ნარჩენი ღირებულების გამოკლება თუ არ ხდება, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს გადასცეს საკუთრების უფლება დაზიანებულ ავტომობილზე.

A3. რას ავანაზღაურებთ ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში?

A3.1 ავტომობილის შეკეთების ღირებულებას. ასევე, უზრუნველყოფს დამზღვევის დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების ორგანიზებას.

A4. დამატებითი პირობა ავტომობილის დაკარგვის/გატაცების/ქურდობის შემთხვევაში

A4.1 თუ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ განაცხადის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში დაზღვეულ ავტომობილს იპოვიან, დამზღვევს არ შეუძლია, უარი განაცხადოს მასზე, თუ ამ დროისათვის მზღვეველმა ზარალი აანაზღაურა, დამზღვევი ვალდებულია, დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა. დასაბრუნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მზღვეველის მიერ დამზღვევთან შეთანხმებით, ნაპოვნი ავტომობილის ნარჩენი ღირებულების გათვალისწინებით.

A4.2 თუ დაზღვეულ ავტომობილს იპოვიან სადაზღვევო შემთხვევის შესახებ განაცხადის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, საკუთრების უფლება აღნიშნულ ავტომობილზე გადადის მზღვეველზე.

A5. ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

A5.1 მზღვეველის მიერ სადაზღვევო პერიოდში ზარალის ანაზღაურების ჯამური მაქსიმალური ოდენობა თითოეულ და ყველა შემთხვევაზე ერთად განისაზღვრება სადაზღვევო თანხის მიხედვით.

A5.2 ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება არ შეიცვლება (ცვეთა არ დაერიცხება) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ყველა ზარალის ანაზღაურება მოხდება საბალანსო ღირებულების შესაბამისად.

A 5.3 სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზიანის ოდენობის განსაზღვრა და შესაბამისი მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალების საგარანტიო მომსახურებაზე მყოფ შესაბამის სერვის-ცენტრებში ან შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებულ სერვის ცენტრში.

A 5.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი არ გამოიყენებს რეგრესის უფლებას დამზღვევის ან მისი თანამშრომლების მიმართ.

A7. დამატებითი მომსახურება

A7.1 წინამდებარე დაზღვევის პირობების A1.2 პუნქტში მითითებული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, მზღვეველი აგრეთვე აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან საქართველოს მასშტაბით უსაფრთხო ადგილას ევაკუირებისათვის საჭირო ხარჯებს, თუ ავტომობილი საკუთარი სვლით ვერ გადაადგილდება. (ეხება მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას), ასევე მის საჯარიმო ავტოსადგომით მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

B. მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

B1. რა არის დაზღვეული?

B1.1 უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი, 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ნულოვანი ფრანშიზით. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება, დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე;

B2 რას ავანაზღაურებთ?

B2.1 დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელ კომპენსაციას (გარდა დაზღვეულის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან/და მის მიერ სარჩელის ცნობისა);

B2.2 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას, თუ მისი ოდენობა და გარემოებები მზღვეველთან წერილობით იქნება შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

B2.3 მზღვეველთან წერილობით შეთანხმებულ სასამართლო თუ სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯებს სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში;

B2.4 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზარალებული პირების სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად, ან ზიანის შესამცირებლად გაწეულ მიზანშეწონილ ხარჯებს.

B3 რამდენს ავანაზღაურებთ?

B3.1 სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის/ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

B3.1.1 მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა) დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის გამო, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;

ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) დოკუმენტურად დადასტურებული ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ, მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდის სახით).

B3.1.2 მესამე პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში - დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენის ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს.

B3.2 იმ შემთხვევაში, თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დადგა დაზღვეულის პასუხისმგებლობა რამდენიმე პირის მიმართ და მისი ჯამური ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო თანხას, მოხდება პროპორციული ანაზღაურება შესაბამისი სექციით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

B3.3 ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, თავიანთი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად.

C. მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან

C1. რა არის დაზღვეული?

C1.1 მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით, 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ნულოვანი ფრანშიზით;

C2. რას და რამდენს ავანაზღაურებთ?

C2.1 დაზღვევის ამ სექციისათვის/სახეობისათვის პოლისში მითითებული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის და ერთ პირზე ქველიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ხარჯები:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები და საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯები;
- საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის ხარჯები;
- კიდურების/ორგანოების დაკარგვისათვის გათვალისწინებული კომპენსაცია.

C2.2 რამდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება ანაზღაურების ლიმიტის დარჩენილი თანხიდან;

C2.3 დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) აღნაზღაურდება ერთ პირზე ქველიმიტის 100%, მის მკურნალობაზე უკვე გაწეული ხარჯების გამოკლებით;

C2.4 დაზარალებულის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ დაკრძალვის ხარჯები;

C2.5 თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდა/გარდაიცვალა ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი აჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, თითოეული მხარე მიიღებს ანაზღაურებას საერთო ზარალში მისი წილის შესაბამისად სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

C2.6 დაზღვევის ამ სექციისათვის/სახეობისათვის ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას და ქველიმიტს ერთ პირზე.

ნაწილი II

საერთო პირობები

ქვემოთ მოცემული პირობები ძალაშია ყველა ზემოთ განსაზღვრული დაზღვევის სექციის-/სახეობისათვის (A, B, C).

1. საერთო გამონაკლისები

1.1 წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევა არ მოქმედებს და დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება ან/და ანაზღაურების შემთხვევაში უკან დაბრუნებას ექვემდებარება, თუ:

1.1.1. შესაბამისი რისკი (შემთხვევა) დაზღვეული არაა;

1.1.2. ის დადგა მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას; ასევე დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტისათვის ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;

1.1.3. ის დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ამ ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ზრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ზრალით) ან უფლებამოსილი მძღოლის ისეთი განზრახი ქმედების შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;

1.1.4. ის დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობის/ცვეთის შედეგად, რაც უფლებამოსილი მძღოლისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია სამსახურეობრივი, გადაუდებელი სიტუაციის გამო);

1.1.5. დაზიანდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ცალკეული შიდა ნაწილები/სისტემები ავტომობილის სარემონტო (სადიაგნოსტიკო) მომსახურებისას სახელოსნოს (ხელოსნის) ბრალით;

1.1.6. ის დაკავშირებულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმდინარე და საგარანტიო შეკეთების ხარჯებთან;

1.1.7. ზარალი წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

1.1.8. დამზღვევი განზრახ მოახდენს ინფორმაციის გაყალბებას, რაიმე სარგებლის მიღების მიზნით;

1.1.9. ზარალი გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, ჟანგით, თანდაყოლილ დეფექტით, შეუსაბამო დიზაინით;

1.1.10 მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის და მძღოლის და მგზავრების დაზღვევის პუნქტებით გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვებზე ანაზღაურებას არ ექვემდებარება ასევე:

ა) მედიკამენტი/მკურნალობა, თუ არ დასტურდება მისი საჭიროება (ექიმის დანიშნულება);

ბ) არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე პირისგან მიღებული მომსახურება;

გ) არატრადიციული მედიცინა, მასაჟი, კოსმეტიკური, პლასტიკური სამედიცინო მომსახურება;

დ) ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებები;

ე) სანატორიულ-საკურორტო, სარეაბილიტაციო მომსახურება;

ვ) დამხმარე მოწყობილობა (სათვალე, სმენის აპარატი და ა.შ.);

ზ) ფსიქოთერაპია.

2. მზღვეველი ვალდებულია:

2.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, გადასცეს დამზღვევეს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;

3. მზღვეველი უფლებამოსილია:

- 3.1. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;
- 3.3. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევეს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;
- 3.4. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
- 3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;
- 3.6. სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო, კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;
- 3.7. დაათვალიეროს დაზღვეული დაზიანებული ავტომანქანა და გადაიღოს ფოტოსურათები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
- 3.8. შეადგინოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
- 3.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის / მოსარგებლის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
- 3.11. მოითხოვოს დამზღვევისგან, რომ ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ ავტოტრანსპორტის შეცვლილ ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას - განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
- 3.12. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- 3.13. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება ზიანის ოდენობას;
- 3.15. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევეს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა.

4. დამზღვევი ვალდებულია:

- 4.1. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადასტურებლად აუცილებელი ინფორმაციით;
- 4.2. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;
- 4.3. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შემცირებისთვის;
- 4.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებსა და მზღვეველს პოლისში მითითებულ ნომერზე;
- 4.5. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ და მზღვეველი მხოლოდ ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება;
- 4.6. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

4.7. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

4.8. მზღვეველს მიაწოდოს ზარალის დარეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე მზღვეველის მხრიდან ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცეს უფლება, მისი სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;

4.9. მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე არ აიღოს საკუთარ თავზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;

4.10. დაზღვეული ავტომობილი ჰყავდეს გამართულ მდგომარეობაში;

4.11. ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ავტომობილის დათვალიერება;

4.13. დაზღვევის ხელშეკრულების დასადასტურებლად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ.: ავტოსატრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა;

4.14. ყველა უფლებამოსილ მძღოლს და მოსარგებლეს გააცნოს დაზღვევის წინამდებარე პირობები;

4.17. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;

გ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით; საგზაო შემთხვევისას ცნობა საპატრულო პოლიციიდან, კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე, საგზაო შემთხვევის სქემა;

დ) ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი - ქურდობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;

ე) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

ვ) ცნობა მძღოლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე;

ზ) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;

თ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ინფორმაცია ასეთი მესამე პირის შესახებ, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ი) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები.

4.18. B და C სექციით/სახეობით გათვალისწინებულ სადაზღვევო დაფარვებზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდა ზემოთ მითითებული დოკუმენტაციისა, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს წარუდგინოს ასევე შემდეგი დოკუმენტები:

ა) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვს (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვ.);

გ) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, არის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის

მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვევლთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

ე) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;

5. დამზღვევი უფლებამოსილია:

5.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

6. დამზღვევი / მოსარგებლე უფლებამოსილია:

6.1. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

7. სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

7.1. დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭიროა, დამზღვევმა შეავსოს სადაზღვევო განაცხადი, წარმოადგინოს მისი, დაზღვეულის და მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე მომზადდება სადაზღვევო პოლისი და წინამდებარე პირობებთან ერთად გადაეცემა დამზღვევს.

7.2. სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი დღის 24:00 სთ-ზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო დღის 24:00 საათამდე.

7.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად ან მრავალჯერადად. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები მიეთითება სადაზღვევო პოლისში.

7.4. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

7.5. დაზღვეულ ავტომობილთან, პირებთან თუ რისკებთან დაკავშირებით სადაზღვევო პერიოდში მომხდარი ყველა ცვლილება, უნდა აისახოს შესაბამის სადაზღვევო პოლისში.

7.6. სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია დამზღვევს განუსაზღვროს დამატებითი ორგანიზაციის ვადა გადახდის შესასრულებლად და ამასთან მიუთითოს იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება ვადის გასვლას. ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 დღის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება. დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

7.7. სადაზღვევო პოლისში შესაბამისი სადაზღვევო რისკისა და თითოეული დაზღვევის სახეობისათვის/სექციისათვის მოცემულია ცალ-ცალკე სადაზღვევო თანხები და (ქვე)ლიმიტები.

7.8. სადაზღვევო პოლისში დაზღვევის თითოეული სექციისათვის/სახეობისათვის მითითებულია ფრანშიზის შესაბამისი ოდენობა. ფრანშიზა შეიძლება განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

7.9. თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ სავალდებულო მოქმედებების განხორციელების ვადებია:

ა) სრული ზარალის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით, ზარალის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) სრული ზარალის შემთხვევაში, რომელიც არ არის გამოწვეული ქურდობით, ძარცვით და ყაჩაღობით, ზარალის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანის შემთხვევაში ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საჯარიმო ავტოსადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყვანის თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

გ) ნაწილობრივი ზიანის ანაზღაურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ან/და საჯარიმო ავტოსადგომიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყვანის დღიდან და ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სადაზღვევო კომპანიაში წარდგენის დღიდან;

დ) ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ ზარალის შეფასება და ავტოსატრანსპორტო

საშუალების შეკეთება უნდა მოხდეს საგარანტიო მომსახურებაზე მყოფ შესაბამის სერვისცენტრებში. სადაზღვევო კომპანიამ შემსყიდველის სასარგებლოდ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება უნდა გადაურიცხოს უშუალოდ სერვისცენტრს. იმ შემთხვევაში თუ, ავტოსატრანსპორტო საშუალება არ საჭიროებს ნაწილის გამოცვლას, მისი შეკეთება უნდა მოხდეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება საჭიროებს ნაწილის გამოცვლას – არაუმეტეს 35 (ოცდათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთების ვადების ათვლა უნდა დიწყოს სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის და დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სერვისცენტრში წარდგენის დღიდან.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო მომსახურებების გამწვევი კომპანია და სადაზღვევო კომპანია ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება საგარანტიო მომსახურებების გამწვევი კომპანიის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს შემსყიდველი ფარავს;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება სადაზღვევო კომპანიის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს სადაზღვევო კომპანია ფარავს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება თუ საგარანტიო მომსახურებების გამწვევი კომპანიისა და სადაზღვევო კომპანიის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება შემსყიდველსა და სადაზღვევო კომპანიას შორის;

8.3. შესაძლოა ზიანის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე.

8.4. თუ დამზღვევი მიიღებს კომპენსაციას მესამე პირისაგან, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციისა და ფრანშიზის ოდენობებს შორის უდიდესით.

8.5. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც ასანაზღაურებელი თანხა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

9. როგორ ხდება დაზღვევის/პოლისის შეწყვეტა?

9.1. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულება;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით (სრული ზარალის შემთხვევაში) გათვალისწინებული ანაზღაურების გაცემა. ანაზღაურების გაცემის შემდეგ სადაზღვევო პოლისი, შესაბამის ავტომობილთან მიმართებით გაუქმდება და სადაზღვევო თანხა შემსყიდველის მიერ შესაბამის პერიოდზე არ გადაიხდება;

ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

ვ) ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებით);

ზ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

9.2. თუ დამზღვევს სურს დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა, მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს მზღვეველს. ხელშეკრულება შეწყდება მზღვეველისთვის წერილობითი ფორმით მიმართვიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების შეწყვეტისას უკან დასაბრუნებელი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებელი ნაწილის მიხედვით. თუ ზარალი ანაზღაურდა გაუქმების მოთხოვნამდე, გაუქმებისას დამზღვევი ვალდებულია, პრემია სრულად გადაიხადოს. სრული ზარალის შემთხვევაში კი, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება დაზღვევის პერიოდის დასასრულამდე დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა.

9.3. მზღვეველს აქვს უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება და ამის შესახებ დამზღვევს უნდა ეცნობოს თოთხმეტი კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში უკან დასაბრუნებელი პრემია დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან, გაუქმების თარიღისათვის გადახდილი გამოუმუშავებელი ნაწილის მიხედვით.

10. რომელ ქვეყნებში ვრცელდება სადაზღვევო დაფარვა?

10.1. იგულისხმება, რომ ამ პირობებში მოყვანილი დაზღვევის ყველა სახეობისათვის/სექციისათვის დაზღვევის ტერიტორია მოიცავს მთელ საქართველოს.

11. ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს „სადაზღვევო კომპანია კოპენზური“

დამზღვევი - სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

მოსარგებლე - სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

უფლებამოსილი მძღოლი - დამზღვევის თანამშრომელი (მათ შორის შტატგარეშე), რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის ავტომობილის მართვის უფლებამოსილება, მინიჭებული სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაზღვევის ხელშეკრულება - ხელშეკრულება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების (დაზღვევის პირობები), შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისგან, თუ დამატებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მგ.: გენერალური ხელშეკრულება, დანართი).

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის არსებობას და ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს.

სადაზღვევო განაცხადი - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისთვის აუცილებელი და მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები, რომლის საფუძველზეც გაიცემა სადაზღვევო პოლისი.

დაზღვეული ავტომობილი - სადაზღვევო პოლისში მითითებული და დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი

სადაზღვევო პერიოდი - პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ჯამური ლიმიტი; მიეთითება პოლისში, თითოეული სახეობისთვის/სექციისათვის ცალ-ცალკე.

საბაზრო ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს დაზღვეული ავტომობილის ან მისი რომელიმე ნაწილის მსგავსი მახასიათებლების მქონე ნივთის (ძარის დაზღვევის შემთხვევაში - მეორადი ავტომობილის) ღირებულება საქართველოს ბაზარზე.

აღდგენის ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული დაზღვეული ავტომობილის აღსადგენად საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება.

ფრანშიზა - თანხის ოდენობა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

დაზღვევის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაზღვევა.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვევის მოქმედების პერიოდში, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი, რომელიც ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას.

სრული ზარალი/განადგურება - ავტომობილის დაზიანება, როდესაც დაზიანებული ავტომობილის აღდგენის ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 70%-ზე მეტია ან არსებობს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის მიზანშეუწონლობაზე ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია და მისი პოვნა ვერ ხერხდება.

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო შესატანი/დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში.

გამოუმუშავებული პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მოსარგებლის, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სახელზე.

მესამე პირი - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიაღება ზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დამზღვევის / მოსარგებლის /ავტომობილის მესაკუთრის, დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, მათი თანამშრომლების ან ოჯახის წევრებისა.

„შემსყიდველი“

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

ს/კ: 205307960

იურ.მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144

ფაქტიური მის.: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 28

საბანკო რეკვიზიტები:

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი - TRESGE22

შიდა ანგარიში - 200122900

სახაზინო კოდი - 3503030702



„მიმწოდებელი“

სს „სადაზღვევო კომპანია კოპენზური“

ს/კ: 405042804

იურ. მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 8 ბ. 8


ფაქტიური მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. #173

საბანკო რეკვიზიტები:

სს „ბანკი რესპუბლიკა“

ბ/კ RPLGE22

ა/ა GE28BR0000010330001044





შპს ლავჩავაძის კომპანია ქართუ
INSURANCE COMPANY CARTU LTD

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია N 1257090

გაცემის თარიღი: 20 მარტი, 2015 წელი

გარანტი: შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ“; ს/კ 204970031

პრინციპალი: სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბურგი“; ს/კ 405042804;

ბენეფიციარი: სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“; ს/კ 205307960;

საგარანტიო თანხა: 5,800.00 (ხუთი ათას რვაასი) ლარი;

გარანტიის მოქმედების ვადა: 23.03.2015 დან - 31.01.2016 - ჩათვლით

გარანტიის გაცემის საფუძველი: ბენეფიციარის 17.03.2015 წლის N 01/343 წერილის საფუძველზე გასაფორმებელი ხელშეკრულების თანახმად (სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ის ბალანსზე რიცხული 180 ერთეული ავტომობილის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა), პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: გარანტი კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე საბანკო გარანტიის პირობების გათვალისწინებით, ბენეფიციარისგან გადახდის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში გადაუხადოს მას თანხა ან/და თანხები, რომლებიც ჯამში არ აღემატება საგარანტიო თანხის ოდენობას.

გარანტიის თანხის მოთხოვნა: გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა მოხდება მხოლოდ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ან არასრული შესრულების შემთხვევაში. ბენეფიციარმა გარანტს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი მოთხოვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა და დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულებების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარედგინოს საბანკო გარანტიის ასლი, მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრინციპალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხაზე გარანტის მიერ მიიღება მხოლოდ წინამდებარე გარანტიის მოქმედების პერიოდში.

მოთხოვნა უნდა ჩაბარდეს გარანტს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N39ა, მოთხოვნის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება მოთხოვნის თანდართული დოკუმენტებით უშუალოდ გარანტისათვის ჩაბარების თარიღი, დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე წყდება:

- გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას;
- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია.

არჩილ მამაცაშვილი

დირექტორი

